საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი აპრილის 14

1921 წ.

№ 37

ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

გ ა ზ ე თ
„სოციალისტ-ფედერალისტი“-ს
კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიჰმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე სოფიო ნიკოლოზის ას. შვილებით: ალექსანდრე მეუღლით, თამარი, მარია, ვერა, საყვარელა, ნინო ბეჟანიშვილები და სოფიო, ალექსის ას. მეუღლით ციხითათრიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარი

**გრიგოლ ალექსის ძე ბეჟანიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათ. საკუთარ ბინაზე ვაკე სახ. უნივ. ახლო სახლი გრ. ბეჟანიშვილის გამოსვენება სახლიდან ხუთშაბათს, დილის 10 ს დაკრძალვა ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში. 786

---

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ნატალია ოლომონის ასული ხოთივაძისა შვილებით. სიძე კონსტანტინე ბიჭიას ძე მეუღლით—ჯიქიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ძვირფასი სიძის

**გრიგოლ ალექსის ძე ბეჟანიშვილის**

პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 5 ს. საკ. ბინაზე ვაკე სახ. უნ. გვერძე სახლი გრ. ბეჟანიშვილისა გასვენება ხუთშაბათს დილის 10 ს. ვერის წმ. ნიკ. ეკლესიაში დაკრძალვა იქვე გალავანში. 785

---

ივანე ზიოს ძე გოგლიძე შვილებითურთ, სიძეები: თადეოზ ალექსის ძე აგლაძე და ნიკოლოზ დიმიტრის ძე აგლაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ აპრილის 11-ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი—პირველის მეუღლე მეორეების საყვარელი დედა და მესამეების ძვირფასი სიდედრი

**ფატმან როსტომის ასული გოგლიძისა**

დაკრძალვა იქნება აპრილის 14 ს ვერის წმ ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე დილით თორმეტ საათზე წირვის შემდეგ, სადაც მისვენებულია მიცვალებული. 788

---

შვილები ოლღა ივანეს ასული სხირტლაძისა, ნინო აგლაძისა, ელენე, ვასილ, ალექსანდრე, მარიამ, ირაკლი და გიორგი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ აპრილის 11 ს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და დაუვიწყარი დედა

**ფატმან (ელენე) როსტომის ასული გოგლიძისა**

დაკრძალვა მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე დღეს, აპრილის 14-ს, დილის 12 საათზე წირვის შემდეგ, სადაც მისვენებულია მიცვალებული 788

---

ღრმად დამწუხრებულნი მღვ. ნიკოლოზ ლუკას ძე—შვილებით სალომე, შუშათი და მარიამით, მიხეილ ლუკას ძე, სახლობით მარიამ მიხეილის ასულით შვილებით გიორგი, ნინო, დათიკო, დარო, მილიცა ხიმშიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ აპრილის 12-ს ამა 1921 წლის ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი პირველის და მეორის დედა, მესამის დედამთილი და დანარჩენი ბებია

**ნინო პავლის ასული ხიმშიაშვილისა**

დაკრძალვა ხუთშაბათს, აპრილის 14-ს 1921 წ. მამადავითის ეკლესიის გალავანში წირვის შემდეგ გამოსვენება დილის ათ საათზე მამადავითის ქუჩა № 40. 789

---

უზომო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე მართა შიოს ასული კაპანაძისა, შვილები: ნადია, ნინო, გრიშა, ვალოდია, ვერიკო, მარგარიტა, სიძე ტეიფურ ალლახვერდიევი, ძმა ბართლომე და რძალი ქეთევანი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობართ რომ აპრილის 10-ს გარდაიცვალა

**მერაბ ნიკოლოზის ძე კაპანაძე**

გამოსვენება გერმანელების საავადმყოფოდან საღამოს 4 ნახ. საათზე. (ნაბერეჟნაია 13) ხუთშაბათს, აპრილის 14-ს დაკრძალვა წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე. 791

---

მუდამ მწუხარებაში მყოფნი გაუბედურებული მშობლები ელ. დიმიტრი ცომაია, მეუღლე მისი სალომე მაჭავარიანი—ასული ცომაიასი, შვილებით: მიხაკო, პავლე, სოფრომ, გულნარა და თინია განუსაზღვრელ მადლობას უძღვნიან ამა ქაბუკ მიშველიძეს და ყველა მისს დამხმარეთ რომელთაც მიიღეს ყოველივე ზომები, და მოგვისვენეს ბათუმში თათრებთან მარტის 18-ს ბრძოლაში გმირულად დაღუპული ტფილისის სახელ. უნივერსიტ. სტუდენტი მედიკი ჩვენი უსაყვარლესი შვილი

**კირილე (ბადუში) დიმიტრის ძე ცომაია**

16

---

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

თანახმად მთავრობის დადგენილებისა იმ მეაბრეშუმეთ, რომელთაც გასულ წლის პარკის მოსავალი ჩააბარეს ქვემო აღნიშნულ ორგანიზაციებს და სათანადო ბარათები (კვიტანციები) ხელში აქვთ მიეცემათ სადი აბრეშუმის თესლი და დამატებითი ფასის სახით სამიათასი მანეთი ფუთ ჩაბარებულ ნედლ პარკზე. თესლის მისაღებად აუცილებლად საჭიროა აპრილის დამლევამდე წარმოდგენილ იქნეს პარკის ჩაბარების ბარათები შემდეგ დაწესებულებებში. ტფილისი—საბრეშუმო სადგურში (მუშტაიდი) თელავი—რევკომში (ამხან. საყვარელიძე და მაკარაშვილთან), ზესტაფონი—კოოპერატივთა კავშირში, ქუთაისი—საბრეშუმო სადგურში (ბალის ქუჩა) ხონი—ადგილობრივ კოოპერატივში, დანარჩენი—კოოპერატივში, ს. მტრედიაში—კავშირ „კონა“ და ამხ. გ. სიხარულიძესთან, ვანი—რევკომში (ივ. კალანდაძესთან). ცაგერი (ლეჩხუმი)—რევკომში (ედ. წერეთელთან, წესი—(რაჭა) რევკომში (ამხ. ივ. ჭიჭინაძესთან), საჯავახო—კოოპერატივთა კავშირში, საჭამი-სერი—კოოპერატივში, ჩოხატაური კოოპერატივთა კავშირში, ხიდისთავი—რევკომში, ოზურგეთი. კოოპერატივთა კავშირში, ხაგომარი—კოოპერატივში, ნატანები—კოოპერატივთა—კავშირში, სუფსა—კოოპერატივში (ამხ. დოლიძესთან). ლანჩხუთში—კოოპერატივთა კავშირში, აბაშა (სამეგრელო)—კოოპერატივთა კავშირში, ბანძა—კოოპერატივში, ახალ-სენაკი—რევკომში. გრ. სალაყაიასთან), ხობი—კოოპერატივი, ზუგდიდი—რევკომში, და კოოპერატივთა კავშირში, ოჩამჩირე-ღრანდაში სურუჟის კოოპერატივთა კავშირში.

მიწად მოქმედების კომისარიატის კოლეგიის წევრი ვ. ჯაჭაძე.
მეაბრეშუმეობის ინსპექტორი ი. ქუთათელაძე.

---

## დაჭრილ დასახიჩრებულ კავშირის წევრთა საყურადღებოდ

ყოველი კავშირის წევრი რომელიც არ მსახურებს და არც რაიმე სხვა სამუშაო აქვს, დაუყონებლივ უნდა გამოცხადდეს კავშირში.

**სარეგისტრაციოთ**

ორი დღის განმავლობაში დღიდან კავშირის გამგეობა.

---

## დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის აპრილის 23 ნაშუადღევის 3 საათისათვის კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პროსპექ. № 139) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1. ძველი გამგეობის მოხსენება
2. დროებითი გამგეობის მოხსენება
3. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4. კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
5. წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
6. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7. საკითხი დაჭრილ-დასახიჩრებულთა უზრუნველყოფის შესახებ.
8. მიმდინარე საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულთ მიეცემათ ბინა, სადილი უკან დასაბრუნებელი გზის ფული. დასწრება ყოველი კავშირის წევრისა სავალდებულოა.

790

კავშირის გამგეობა.

---

## ფურცლები

13.

**აფხაზეთი.**

ამას წინად ჩვენ ლაპარაკი გვქონდა ოსეთზე, დღეს ჩვენს ყურადღებას იპყრობს აფხაზეთი. სამაჰმადიანო საქართველოს საკითხი ჯერ-ჯერობით ფაქტიურად გადაწყვეტილია და შეიძლება ითქვას, დღევანდელის პირობებში—მეტად გონივრულად. საქართველოს მეგობარ მეჯლისს სრულიად არ დასჭირებია რაიმე პრობლემატიური და ისტორიული ხასიათის ხაიჯის გადადგმა. ადგილობრივ მართველობის სწრაფად შექმნამ, ადგილობრივ ძალების საქმეში ჩათრევამ ისტორიული საქმე გააკეთა—სამაჰმადიანო საქართველო შეუდგა სარევოლუციო აღმშენებლობას თავის ღვიძლ დედასთან, საქართველოსთან.

აფხაზეთს მეტად რთულს პირობებში მოუხდა პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და ჩვენ ვფიქრობთ აფხაზეთის საკითხი ცოტა კიდევ მეტი რთულ ხასიათს იღებს ვიდრე მას დღემდე ქონდა მიდგმული.

ვინც იცნობს ჩვენს სამშობლოს ცხოვრებას ძალიან კარგად უწყის, რომ საქართველოს წინაშე ხშირად ყოფილა საკითხი სომხური, რუსული, მაჰმადიანთა, მაგრამ ქართულ-აფხაზური საკითხი ჩვენში არ არსებულა. აფხაზთა ბედოვლათობა გაიწვევდა და გათუშლდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა ცნობილი ჩხიკვიშვილის უბადრუკმა პოლიტიკამ ლიბის ხარი დასცა აფხაზობას და რომლის ორპირული პოლიტიკა ყოველ აფხაზს იწვევდა სრული უნდობლობას.

მენშევიკური პოლიტიკით თავზარდაცემული აფხაზეთის ხალხებმა დღეს ასეთივე ნაბიჯი გადადგა და გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

რას ნიშნავს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, როგორ უნდა გადაიჭრას აფხაზეთის საკითხი?

პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ჯერ ჯერ ა დრო მოიცდის და თვით აფხაზეთის ხალხის ნებაზე, მაგრამ—სასურველია—ყველა სოციალისტური საქართველოს მთავრობამ აფხაზეთს ის ხელშეუხებლობა უნდა გაუწიოს ცხოვრების ყოველ დარგში, რომელსაც იძლევა დედა შვილს თავის ღვიძლ შვილს.

რას წარმოადგენს აფხაზეთის საკითხი? აფხაზეთის საკითხი ჩვენ არ გვესმის აფხაზთა საკითხად, აფხაზეთის საკითხი რომ დაისვას აფხაზთა საკითხის თვალსაზრისით—ეს იქნებოდა უდიდესი ბარბაროსობა კულტურის და ცივილიზაციის წინაშე.

საჭიროა საკითხი ღრმად და ფართოდ, მშვიდად, სრულებით არავინ უნდა დაარღვიოს ლამაზი, სიტყვიერი და ლამაზი სურათებით, ჩვენ როცა ვამბობთ: რუსეთის დამოუკიდებლობა, საქართველოს დამოუკიდებლობა, აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა და სხვა და სხვა ეს ნიშნავს არა მარტო გეოგრაფიულ ტერმინის დემონსტრაციას, ეს სიტყვები გამოსახავენ ამავე დროს რუსების, ქართველების, თათრების და სხვების სახელმწიფოს, მის ძალას, კულტურას, ისტორიას.

შეიძლება თუ არა იგივე ვსთქვათ აფხაზეთზე?—სასურველია არა. ყოველგვარი ნაციონალური სახელმწიფო აუცილებლად უნდა იყოს ეთნოგრაფიული, სუვერენი დემოსი, მთლიანი დემოგრაფია აუცილებელი პირობაა ყო-

ველი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისა.

მიეცით აფხაზებს დამოუკიდებლობა, ნაციონალური უფლებები ნაციონალური ცხოვრებისათვის. რას გამოიწვევს ახეთი აქტი? მკითხველმა იცის თუ რას წარმოადგენს აფხაზეთი. აფხაზეთი ხალხთა მუზეუმია, სადაც თავი მოუყრია შრომის და მუყაით ბერძენთან ერთად ევროპის ყველა ჯურის მოდგმას, ამავე დროს მრავალ მოდგმას მთიელთა, ბართა და მათში ქართველობას და აფხაზობას.

დემოგრაფიულად აფხაზეთი მეტად საინტერესო სურათს წარმოადგენს, სადაც აფხაზები აფხაზეთში უმცირესობას წარმოადგენს, რომელსაც არ აქვს საკუთარი მწერლობა, საკუთარი კულტურა. თუ სახელმწიფოსათვის აუცილებელია ნაციონალური სახელმწიფოს ნიშანდობლივი ატრიბუტი—კულტურული ენა, თქვენ დაინახავთ, რომ აფხაზები ერთს დღესაც ვერ შექმნიან ნაციონალურ სახელმწიფოს. არა თუ ამ მხრივ, ფედერატის უფლებრივი არსებობის მოთხოვნილებებსაც ვერ დააკმაყოფილებენ აფხაზები, როგორც ასეთნი.

ეკონომიურად აფხაზეთი აფხაზების თვალსაზრისით — სამწუხაროდ მეტად ჩამორჩენილი მხარეა. აფხაზები დაბა-ქალაქების მცხოვრებნი კი არ არიან, რომელნიც თანამედროვე ეკონომიურ კულტურას გამოსახავდენ, არამედ ჩამორჩენილ სოფლების და მთის ძალები.

სოციალურად აფხაზები წარმოადგენენ მიწის მფლობელ ელემენტს, რომელიც მიწას აქირავებს, იჯარით სცემს მუშებზე. ამგვარად სოციალისტური დროშის მატარებელი აფხაზეთში უმთავრესად და უმრავლესად ის ძალაა, რომელიც მიწას ქირაობს, ამუშავებს, სწევს შრომის მძიმე უღელს და სცოვრობს ბარად.

მეტად დამახასიათებელია ის გარემოება, რომ თვალის ჩინი თანამედროვე აფხაზეთისა—გაგრისა და კოდორის რაიონი სრულიად არ არის აფხაზებით დასახლებული. გაგრის ძვირფასი ტყე, აუწერელი მნიშვნელობის სტრატეგიული პუნქტები, ეკონომიური დოვლათი მთელი აფხაზეთისა, უდიდესი კლიმატიური ადგილი. სწავლა-განათლებითაც წარჩინებული გაგრის მხარეში აფხაზობა სრულიად არ არის.

წარმოიდგინეთ ისიც, რომ მთელს ამ მხარეში, სადაც დღეს თითქმის 200 ათასი სული სცხოვრობს, აფხაზთ ეკუთვნის მაქსიმუმ 30 პროც. მოსახლეობისა, ხოლო ყველაზე დიდი ნაწილი, უმრავლესობა, შრომისა და კულტურის ბოძი უპირავს ქართველობას; დიახ, მიიღეთ ყოველივე ეს მხედველობაში და თქვენთვის მყისვე გადაიშლება სურათი თანამედროვე აფხაზეთის ნამდვილი მდგომარეობისა.

თვითონ აფხაზები არ არიან ამავე დროს ერთი ეროვნული ალღოთი გამსჭვალული ძალა. რელიგიური კულტი, მაჰმადიანობა და ქრისტიანობა აპობს ამ მცირე ეთნიურ ჯგუფს ორ ძალად, რომლის ერთი ნაწილი ხან ოსმალეთისაკენ იცქირება, მეორე ნაწილი რუსეთისაკენ და ჯგუფები კიდევ საქართველოსაკენ.

აფხაზების თვალსაზრისით აფხაზეთის საკითხის გადაჭრა—შეუძლებელია, ეს იქნებოდა აფხაზების გარიყვა მთებში კულტურულ დაბეჩავებაში, სიღარიბეში ეს იქნებოდა რეაქციის პირში მთელი ქვეყნის მიცემა.

აფხაზეთის საკითხი უნდა გადაიჭრას იმ ძალების მიხედვით, რომელნიც სახეს და ტონს აძლევს თანამედროვე აფხაზეთს. დაივიწყეთ ჩინოვნიკობის ინტერესები, დაივიწყეთ ჩარჩების მიზნები, დაემყარეთ მცხოვრებთა უმრავლესობას, მცხოვრებთა მასსას, მიწის მუშათა ჯარს და თქვენ ნახავთ, რომ ეს ძალა იქნება საქართველო, ქართველობა (მეგრელობა) და ამიტომ ჩვენ ვამბობთ: აფხაზები სავსებით უნდა დაეყრდნონ მხოლოდ და მხოლოდ, უმთავრესად ქართველობას, საქართველოს და საქართველოსთან მჭიდრო კულტურულ-სოციალისტურ აღმშენებლობაში ნახონ ის გზა რომლითაც საბოლოოდ უნდა გადაიჭრეს მისი აწმყო და მომავალი.

თედო ღლონტი.

# პოლიტიკური შენიშვნები

**3. ინტელიგენციის თანამშრომლობისათვის.**

განუზომელი ტრაღიზმით აღსავსეა ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა. ბუნებრივია, სახელმწიფოებრივი ფორმის ცვლასთან მუდამ დაკავშირებულია ერთგვარი ტკივილები, მაგრამ ყველაფერი ეს რაც მოხდა, ცოტათი უფრო მეტი იყო ვიდრე სახელმწიფოს სტრუქტურის შეცვლა. ბისმარკი იტყოდა ომი ომიაო, ომი კი ყოველი რეჟიმისათვის, ყოველი მთავრობისათვის ექზამენია. დღეს იმის დრო არ არის უკანასკნელი ომის მიზეზები ვარკვიოთ. ჯერ ჩვენ გულზე დარჩენილი ტკივილები არ მოშუშებულა, ჯერ ქართველი ხალხი გონს ვერ მოსულა. არც იმის კვლევას შეუდგები, თუ როგორ წარმოებდა ჩვენი დიპლომატია, ჩვენი შინაგანი თუ გარეგანი პოლიტიკა, შეიძლებოდა თუ არა „უმტკივნეულოდ მომხდარიყო“ ის პოლიტიკური მეტამორფოზა, რომელიც ჩვენ განვიცადეთ გასულ თვის მიწურულში.

მე მინდა იმ გზაზე ვესაუბრო მკითხველს, რომელსაც უნდა დაადგეს ქართველი ინტელიგენცია შექმნილ მდგომარეობაში, ქართველი ინტელიგენცია გულწრფელად და თავგამოდებით იდგა ქართველ ხალხთან ერთად. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არ გაიმეორა ის ფატალური შეცდომები, რომელიც ჩაიდინა რუსეთის ინტელიგენციამ რუსეთში კომუნისტურ რეჟიმის დამყარებისას, ქვეყნის მოამაგეებმა, პარიზს და ლონდონს შეაფარეს თავი, რომ თავიანთი ძვირფასი თავი შეუნახონ იმ რუსეთს, რომელსაც ნიკოლოზ ნიკოლაევიჩი ან კერენსკი აღადგენს ვითომდაც.

ქართველმა ინტელიგენციამ მარტივად და სადად გადასწყვიტა საკითხი: ჩვენ ქართველ ხალხთან უნდა დავრჩეთ, მისი ჭირი და ლხინი უნდა გავიზიაროთ.

რკოც იქ უნდა დაეცეს, სადაც მუხა წაიქცევა.

ეს აიხსნება ერთის მხრით იმ გარემოებით, რომ რუსის ინტელიგენცია უმეტესად ბურჟუაზიული წრეებიდან იყო შემდგარი. ბურჟუას ფსიხოლოგია კი ასეთია: მაძღარს და კმაყოფილს მუდამ შინება მშიერისა და უკმაყოფილოსი.

ჩვენ ინტელიგენციის დიდ ნაწილს კომუნისტური რადიკალიზმის არ ეშინია იდეურად.

თუ ყველაფერი რაც მოხდა ანალოგიური მოვლენა არაა 1801 წლისა, განა ქართველი ინტელიგენცია უნდა გაურბოდეს წითელ საქართველოს?

სრულიადაც არა. თუ ქართველი ხალხი კომუნისტურ საქართველოში იპოვნის თავის შესაფერ რეჟიმს, ჩვენ უყოყმანოდ უნდა ვითანამშრომლოთ ქართველ კომუნისტებთან წითელი, თავისუფალი საქართველოსთვის საჭირო აღმშენებლობის მუშაობაში.

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ რომ მემარცხენე რუსეთი 1801 წლის რუსეთის შეცდომებს გაიმეორებს.

დღე იცოდეს ყველამ, რომ არ არსებობს ქვეყანაზე ძალა, რომელსაც შეეძლოს გათვითცნობიერებულ ერში დამოუკიდებელ არსებობის სურვილის მოკვლა.

ლენინის წერილმა თავის ქართველ ამხანაგებისადმი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

„არ გაიმეოროთ რუსული შაბლონი.“

ლენინი ანგარიშს უწევს საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობას, ლენინი ანგარიშს უწევს ქართველი ერის ინტელექტუალურ ძალებს. ეს გონივრული აზრია.

მაგრამ არც იმის დავიწყება შეგვიძლია, რომ რომში ყველაფერი ისე არ ხდება როგორც პაპას უნდა. ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის ცოცხალ სურათს ჩვენი დედა ქალაქი იძლევა.

ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ რომ ტფილისში დაცული იყოს ხელშეუვალობა ქართველი ერისა. კომისარიატების და სახაზინო დაწესებულების პერსონალურ შემადგენლობაში ჩვენ ვერ ვხედავთ რომ შაბლონი არ განმეორდება. შეიძლება ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ იმ დროს, როცა ტფილისში [illegible] მოხდა, ქართველი ინტელიგენცია ნებით თუ უნებლიეთ ტფილისიდან გასული იყო და კომუნისტური მთავრობა იძულებული გახდა უცხო ძალები მიეზიდა თანამშრომლობისათვის.

უნდა ითქვას, რომ სახალხო კომისართა საბჭოს ჯერ გულზე ხელი არ უკრავს ქართველი ინტელიგენციისათვის.

ინტელიგენციისთვის ერთად ერთი გზაა, გზა თანამშრომლობისა.

დიდის მასშტაბით უნდა გაჩაღდეს მუშაობა როგორც ტფილისში, ცენტრში ისე პერიფერიებში.

თუ ყველაფერი რაც მოხდა, მოხდა მართლაც ქართველი ხალხის საბედნიეროთ, თუ უახლესი კუდეტა არ არის განმეორება 1801 წლისა, ჩვენი თანამშრომლობა არ უნდა დაყოვნდეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლენინი და ჩიჩერინი, როგორც კომუნისტები ძველი რუსეთის შეცდომებს არ გაიმეორებენ და ვერც გაიმეორებენ.

ვერ გაიმეორებენ, ერთი იმიტომ, რომ საქართველო არც ბაშკირეთია და არც ყირგიზეთი.

რაც უნდა მტრული იყოს საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება ევროპასთან, საგანთა ლოღიკა აიძულებს მას ანგარიში გაუწიოს თუ მემარჯვენე ევროპას არა, მემარცხენეს მაინც, იმ სიმპატიების გულისათვის, რომელიც რუსის კომუნისტებს ეგულებათ ევროპის რადიკალურად განწყობილ წრეებში.

საქართველოში არ არის არც პოლონეთის თეთრები, უკრაინის არც მაგნატები და არც დენიკინელების კონტრ რევოლიუციონერ გენერლები.

საქართველოს ხელიდ უფლების დაცვაში ბრძოლად აღსდგება ისევ მისი განაწამები ხალხი და მისივე დემოკრატიული ინტელიგენცია.

1801 წლის კუდეტაში რომანოვებმა წაგლიჯეს ბაგრატიონებს ხელიდან ქართველი ერის პოლიტიკური ალამი.

1918-21 წლებში ეს ალამი ქართველ ხალხს უპყრია ხელში და მისი ხელიდან წაგლეჯა არც ისე ადვილი იქნება და ნურც ნურავინ მოინდომებს ამას.

ქ. გამსახურდია.

აპრილის 11-ს.

# აფხაზეთში

**ბათომი. 9-4.** (დეპეშა) ბათომში მომხდარ თათბირზე, რომელსაც დაესწრენ ამხ. ორჯონიკიძე, ქავთარაძე, ელიავა და აბხაზეთის რევკომის წარმომადგენელნი ამხ. უმბა და ლაკობა, გამოტანილ იქმნა შემდეგი დადგენილება: 1) აბხაზეთის საბჭოების ყრილობამდის ღია რჩება საბჭოთა აბხაზეთის საბჭ. რუსეთთან თუ საბჭ. საქართველოსთან ფედერაციის საკითხი და აბხაზეთი ცხადდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, 2) პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდის იწოდება რუსეთის კომუნისტურ პარტიის საორგანიზაციო ბიუროთ აფხაზეთში და მოქმედობს რუსეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის კავკასიის ბიუროს დირექტივებით. 3) საქართველოს რევკომის დეკრეტები აბხაზეთის რევკომმა მასალად უნდა გამოიყენოს, რათა ორთავე რევკომების მოქმედება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდეს. 4) კომუნისტურ პარტიის ორგბიურო აბხაზეთში ყოველივე ზომებს იღებს ეროვნული შუღლის აღმოსაფხვრელად, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ ჩამოაგდო საქართველოს და აბხაზეთის ხალხთა შორის.

**აბხაზეთის წითელი ლაშქრის შექმნა.**

სოხუმი, 5—4. აბხაზეთის სამხედრო კომისიის ამხ. ლაკობის ბრძანებით აბხაზეთში დაიწყო მოხალისეთა წითელი ლაშქრის შედგენა. პირველ რიგში წითელი ცხენოსანთა რაზმი სდგება. წითელ ლაშქრელთა ოჯახები უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო ხარჯით და ულუფით ლაშქარში ჩაწერა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

**აფხაზეთის რევკომის რადიო.**

სოხუმი, 5—4. აბხაზეთის რევკომმა, აბხაზეთის საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების გამო, შემდეგი რადიოთი მიმართა მთელ მსოფლიოს: „მშრომელთა სურვილით დაიბადა ახალი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა-აბხაზეთი. აბხაზეთის მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების პირველი ყრილობა საბოლოოდ გადასწყვეტს ხალხის ბედ-იღბალს. მცირე ხალხის საბჭოთა რესპუბლიკა თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ წითელი ლაშქარი დიდ განმათავისუფლებელ როლსა თამაშობს და აგრეთვე მაჩვენებელია იმისა, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ერთი მუშტი კიდევ ჰკრა მცირე ერების მჩაგვრელ ყველა იმპერიალისტებს და მათ ლაქიებს სოციალ-გამცემლებს.

პატარა საბჭოთა აფხაზეთის მშრომელთა სახელით უგზავნით სალამს დიდ მუშურ-გლეხურ ქვეყანას—საბჭოთა რუსეთს და ყველა საბჭოთა რესპუბლიკებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკები დაგვეხმარებიან და დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა აბხაზეთი მათთან კავშირით პირნათლად დაიცავს რუსეთის მუშურ-გლეხურ რევოლიუციის დიდ მონაპოვართ და ხელს შეუწყობს მთელ მსოფლიოში სოციალურ რევოლიუციის საქმეს.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს, გაუმარჯოს მთელ მსოფლიო მშრომელთა კომუნიზმისთვის დიად ბრძოლას, გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის შტაბს კომუნისტურ ინტერნაციონალს გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას.

# საქართველოს სადარაჯოზე

უკვე თვე ნახევარია რაც სოციალისტური საქართველო იშვა. უკვე თვე ნახევარია რაც საქართველოს მიწა-წყალზე დაიწყო შენება სოციალისტურ სახელმწიფოსი და ქართველი ინტელიგენციის ყველა ძალას ჯერ კიდევ ვერ გაურკვევია თუ ამ სოციალისტურ აღმშენებლობის დროს სად უნდა იყოს ის. მასში ჯერ კიდევ ვერ მომხდარა ფსიხოლოგიური გარდატეხა, ის ჯერ განვლილ ომის დაწყების ხანის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება და ვერ შერიგებია იმ აზრს რომ მისი მოვალეობაა ეხლავე გადგეს ეროვნულ სადარაჯოზე, ჩაერიოს სოციალისტურ აღმშენებლობითი საქმეში, მისცეს მას გარკვეული ეროვნული სახე და ამით შეუმსუბუქოს მშობელ ერს ის წყლულები, რომელიც მას არ შეიძლება არ მიაყენოს ძველი ბურჟუაზიული წესის დამსხვრევისა და ახალი სოციალისტური წყობილების დამყარების პროცესმა.

ამ გაურკვევლობას, რასაკვირველია, თავისი გასამართლებელი საბუთები აქვს და ის ვინც განვლილ ომის დაწყების ხანაში საქართველოში იყო, ამ საბუთებთან კარგად იქნება გაცნობილი. ომის დაწყების პირველ დღეებშივე საქართველო ერთ მთლიან სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა. სამი წლის განმავლობაში მენშევიკებმა შესძლეს ქართველი ერის სულიერ თვისებას გასცნობოდნენ, მისი სულის საუკეთესო კუნჭულში მოთავსებულ ეროვნულ მეობის სიყვარულისათვის ბოლო ბედით და ამ ეროვნული მეობის დაცვისათვის მასში დაგროვილი გმირული ენერგია და თავდადება სახიფათო დროს თავის ბატონობის გადასარჩენად გამოეყენებინათ.

მაშინ, როდესაც ევროპის მემარჯვენე სოციალისტურ წრეებში ქართველი მენშევიკები საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინააღმდეგ კომუნისტური პარტიის შეიარაღებულ ძალებით გამოლაშქრების შესახებ ბუკსა და ნაღარას სცემდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე მათგან ჩვენ მხოლოდ ერთი რამ გვეგონეთ: „სამშობლოს დამოუკიდებლობა განსაცდელშია“! და მათი კარგი ორგანიზაციაც სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მათ ამისათვის ნიადაგი დიდი ხანია მომზადებული ჰქონდათ. ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, დიდი ხნის წინედ შეჩვეულნი ვიყავით იმ აზრს, რომ ბოლშევიზმის შემოსვლასთან ერთად დაემხობოდა საქართველოს დამოუკიდებლობა და საქართველო გარდაიქცეოდა დიდი რუსეთის ერთ პატარა პროვინციად. მენშევიკური ინფორმაცია, რომლის გავლენის ქვეშაც იმყოფებოდა მთელი საქართველო, მხოლოდ ასეთ შესაძლებლობას გვიხატავდა ჩვენ. და რაღა გასაკვირველია, რომ ქართველი ხალხი, რომელიც ას ჩვიდმეტი წლის მონობის განმავლობაში მხურვალე გრძნობების შედეგებით ჰბაძავდა ძვირფას იდეას თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისას და როგორც [illegible] სამი წლის განმავლობაში განთავისუფლებული საქართველოს წმინდა საკურთხეველზე თავის საუკეთესო შვილთა მრავალი სიცოცხლე მსხვერპლად მიიტანა, სამშობლოს დამოუკიდებლობის განსაცდელის შიშით შეშფოთებული როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა და ბრძოლის ველზე გაიჭრა. მე მახსოვს ის დღეები და ვფიქრობ, რომ ყველას ეხსომება ვინც ის თავისი თვალით ნახა. საქართველოში პარტიები არ არსებობდა, იყო მხოლოდ ქართველი ხალხი გამსჭვალული ერთის ფიქრით და ერთის გრძნობით. ყველა ბრძოლის ველზე მიისწრაფოდა. მე ვიცი კომუნისტები რომლებიც ჯარში მოხალისეებად მიდიოდნენ და ეს ჩვენის აზრით გასაკვირიც არ არის. შეგნებული ადამიანი რა მიმართულებისაც არ უნდა იყოს ის თავისი ქვეყნის უდიდესი პატრიოტია და რა გასაკვირველია, თუ ეს თავის ქვეყნის ბედით დაინტერესებული იცავს მის დამოუკიდებლობას თუ კი მისი აზრით ამ დამოუკიდებლობას, საიდანაც არ უნდა იყოს, საფრთხე მოელის.

მე სოციალისტ-ფედერალისტი ვარ, მაგრამ, რომ ვინმემ დამარწმუნოს რომ ჩემი ამხანაგები ს. ფედერალისტები სხვა რაიმე, თუ გინდ დიადი მიზნებით გატაცებულნი ჩემი სამშობლოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოდიან, მე პირველი სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას გამოუცხადებ მათ, ვინაიდან მე არა მწამს გარეშე ეროვნებათა თავისუფლებისა რაიმე დიადი მიზნების განხორციელება. ალბად ასე ფიქრობდნენ ის კომუნისტები რომლებიც ბრძოლის ველზე მოხალისეებად მიდიოდნენ.

და ქართველ ხალხის ერთსულოვნებით აიხსნება ის, რომ ქართველი ლაშქარი გასაოცარი რაინდული თავდადებით, გმირულად იბრძოდა და მუხბერან ძალას, რომელიც პატარა საქართველოს ლაშქარს ებრძოდა, თვითეულ ფეხის ნაბიჯის აღება ბრძოლით უნდებოდა. ტყუილად კი არ ამბობდნენ ერთხმად ის წითელ არმიელები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა განვლილ ბრძოლებში, რომ ქართველ მეომრები იბრძოდენ როგორც ლომები. ეს ფაქტია და ამ ფაქტს ისტორია თავის დროზე აღნიშნავს. მიუდგომელი ისტორია იმასაც იტყვის, თუ ვინ იყო დამნაშავე წარსულ სისხლის ღვრაში, მაგრამ დღეს საქართველოში არავინ უნდა ეცალოს იმისათვის რომ ისტორიულ მასალები ჰქექოს და როდესაც თვითეული წუთი ძვირფასია შემოქმედებითი მუშაობისათვის, მხოლოდ უსაგნო კრიტიკით იმონოს თავი. დღეს თვითეული შეგნებული ქართველი სამშობლოს შვილის და ნამდვილი სოციალისტის წინაშე მხოლოდ ერთი საკითხი სდგას: ყველა იმის შემდეგ რაც მოხდა არსებულ პირობებში, დღეს, როდესაც საქართველოში საძირკველი ეყრება სოციალისტურ წესწყობილებას, ვისთან არის ის? საქართველოსთან თუ საქართველოს წინააღმდეგ. სხვანაირად დასმა საკითხისა ყოვლად შეუძლებელია.

და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა ქართველი მამულიშვილები, რომლებიც რაინდული თავგანწირულებით იბრძოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, დღეს, ბრძოლის დასრულების შემდეგ, როდესაც ისინი მიუხედავად ამ ბრძოლის შედეგებისა დღევ[illegible] კვლავ დამოუკიდებელ საქართველოს, განზე ვერ გადგებიან, საქართველოში დაბადებულნი და აღზრდილნი კვლავ საქართველოსთან დარჩებიან და გაათკეცებული ენერგიით შეუდგებიან მუშაობას კულტურულ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე ჩვენის ცხოვრებისა.

იმ ხმებმა, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში გავრცელდა საქართველოს დამოუკიდებლობის საფრთხის არსებობის შესახებ, არავის უნდა მისცეს საბაბი პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებისა, პირიქით, თუ ეს ხმები მართლაც ქართველი ერის ვალია, რომ დარაზმული გამოვიდეს პოლიტიკურ ასპარეზზე და ზურგი გაუმაგროს ჩვენს ხელის უფლებათა იმ ნაწილს, რომელიც [illegible] იცავს საქართველოს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებლობას და ქართველი ერის პირველ რიგებში ასეთ დროს ვინ უნდა იყოს, თუ არა მისი მოწინავე ინტელიგენცია? დიახ, ქართველი ერის ინტელიგენციის მოვალეობაა დღესვე დარაზმული გამოვიდეს საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე. ამას უნდა უკარნახებდეს თვითეულ ქართველ ინტელიგენტს მისი ეროვნული და სოციალური სინიდისი. ამას მოითხოვს ქართველი ინტელიგენციისაგან დღევანდელი მომენტი საქართველოს სოციალისტური აღმშენებლობისა.

მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ბევრს გულს უტეხს და გაბედულებას უკარგავს დღევანდელ პირობებში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსასვლელად. ეს არის საქართველოს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა. ჩვენი ცხოვრების ეკონომიური კრიზისი მშრომელ მასსას აწევს კისერზე მთელი თავისი სიმძიმით. დღევანდელ პირობებში მუშა ვერ იღებს იმის მეათედსაც კი, რაც აუცილებელია მისთვის ოდნავ ადამიანურ პირობებში საარსებოდ. და ქართველ ინტელიგენტს აღარ ჰყოფნის გაბედულება, რომ მივიდეს მუშასთან და ურჩიოს მას მთელი მისი ძალღონით დაცვა იმ წესწყობილებისა, რომლის დროსაც მას სიმშილით სული სძვრება. ეს ობივატელურს თვალსაზრისით გასაგებია, მაგრამ შეიძლება ჩვენ ეს გავამართლოთ სოციალისტურ თვალსაზრისით?

რასაკვირველია, არა!

რა ცუდი შეხედულებიაც არ უნდა ჰქონდეს ვინმე არსებულ დღევანდელ წესწყობილებაზე, რა ბევრ დეფექტებსაც არ უნდა ხედავდეს ის მასში, ერთი მაინც ყველასათვის ცხადია. ცხადია ის რომ დღეს ჩვენში შეუჩერებლის ხელით ინგრევა ძველი ეკონომიურ ჩარჩოზე დამყარებული კაპიტალისტური წესი კერძო თაოსნობით წარმოებისა და საძირკველი ეყრება ახალს წესს საზოგადოებრივი წარმოებისას. შესაძლებელია ამ ძველის ნგრევასა და ახალის შენებას ხშირად სტიქიური ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ ეს რომ არსებითად ასეა, რომ დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ბურჟუაზიულ წესწყობილების დასამარებისა და სოციალისტურ წესწყობილებისათვის საფუძვლის ჩაყრის პროცესთან ამას ვერავინ უარყოფს. და ვის წარმოუდგენია, ვის გაუგონია ცხოვრების სოციალურ პირობების რევოლიუციონური გარდაქმნა ისე, რომ გარდაქმნას არ მოეწვიოს ეკონომიური არევ-დარევა, ეკონომიური კრიზისი? განა ჩვენ, სოციალისტებს წარმოდგენილი არ გვქონდა ყველაფერი ის რასაც დღეს ჩვენი თვალებით ვხედავთ? განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ კაპიტალის ბატონები, რომ მსუქანი სპეკულიანტები გაშლილი ხონჩით არ შეხვდებოდნენ ძველი ქვეყნის მესაფლავეებს და მდიდრულ ალაპს არ გამართავდნენ ამ ძველი ქვეყნის საფლავზე? განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ სოციალიზმის მტრები ისარგებლებდნენ იმით, რომ რევოლიუციონურ გარდაქმნის დროს სახელმწიფო ერთი ხელის დაკვრით ვერ შექმნიდა ეკონომიურ კეთილდღეობას და რათა სოციალიზმისათვის სახელი გაეტეხათ და გაეძლიერებინათ ის არევ-დარევა რომელსაც ყოველი რევოლიუცია ჰქმნის, მთელი ქვეყნის დოვლათს ბნელ სარდაფებში ჩამარხავდნენ? არა, ყველაფერი ეს ჩვენ კარგად ვიცოდით, მაგრამ ამის გამო ჩვენ ერთის წუთითაც კი აზრად არ მოგვსვლია, რომ სოციალისტურ იდეებისადმი სიყვარული ოდნავ მაინც შეგვესუსტებინა და მათი განხორციელების სურვილი ჩვენივე გულში ჩაგვეკლა, არამედ მუდამ იმის ცდაში ვიყავით რომ დაგვეახლოვებინა მათ და შეგვეყვარებინა ისინი ყველა მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთათვის. და თუ ამას ჩვენ ვშვებოდით აბსტრაქტიულად, თეორიულის მსჯელობის დროს, დღეს როდესაც ეს თეორიული იდეები პრაქტიკულ მოღვაწეობის საგნად გადაიქცა, ვის აქვს უფლება თუ ის ნამდვილი გულწრფელი სოციალისტია, რომ პოლიტიკურ ასპარეზიდან გაიქცეს და თავისის გაქცევით ხელი შეუწყოს ცხოვრების არევ-დარევას და ამით სოციალისტურ იდეების ცხოვრებაში გატარებას ხელი შეუშალოს? განა თვითეული სოციალისტის მოვალეობა არ არის, რომ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობის საქმეში და აუხსნას, განუმარტოს ყველას, რომ ის ეკონომიური კრიზისი რომელსაც ადგილი აქვს დღეს ჩვენს ცხოვრებაში მხოლოდ დროებითი ხასიათისაა და ეს კრიზისი იმდენად განელდება რამდენადაც თვითეული ჩვენგანი გამოიჩენს მუყაითობას და ბეჯით შრომას, რამდენადაც თვითეული ჩვენგანი მეტის სიყვარულით და სიფრთხილით მოეპყრობა იმ წესწყობილებას რომელსაც სოციალიზმი ჰქვია, რომელიც არის ერთად ერთი ფორმა შრომის სუფევისა და რომლის საფუძვლის ჩაყრისათვის ისტორიისაგან მოწოდებულია ჩვენი თაობა?

არის კიდევ მეორე გარემოება რომელიც ჯერ კიდევ ამ გაურკვეველ ელემენტებს უკარგავს გაბედულებას მუშაობის დაწყებისას. საქმე იმაშია, რომ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხშირად აქვს ადგილი ისეთ არა სასურველ მოვლენებს რომლებსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეთ და რომელთა გამართლებაც კომუნისტური პარტიის პროგრამის არც ერთი მუხლით არ შეიძლება. ხშირად ამ მოვლენათა დაფასების დროს დამნაშავედ გამოჰყავთ კომუნისტური პარტია და ამბობენ, რომ კომუნისტების სიტყვასა და საქმეს შორის კავშირი არ არსებობს, ისინი ამბობენ ერთს და აკეთებენ მეორესო. ჩვენ კომუნისტების დამცველად არ გამოვდივართ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ რომ არ შეიძლება ყოველთვის რომელიმე კომუნისტის ცუდი საქციელით მთელ პარტიას მსჯავრი დავსდოთ. ეჭვს გარეშეა რომ დღეს ჩვენში კომუნისტების სახელით ბევრი ბნელი ელემენტები სარგებლობენ და თბილ ადგილებზე მოთავსებულნი თავიანთ ბნელ საქმეს აკეთებენ მაგრამ ეს მოვლენა კიდევ ერთი ძლიერი საბუთია იმისათვის რომ ქართველი ერის შეგნებულმა ელემენტებმა საჭიროა ძლიერი იერიში მიიტანონ ამ ბნელ ელემენტებზე, მათ ხელიდან გამოგლიჯონ ჩვენი ცხოვრების სადავეები და ამ სადავეებს თითონ დაეპატრონონ. მაშინ ადგილი აღარ ექნება კომუნისტების სახელით ბნელ საქმეთა კეთებას, კომუნისტების სიტყვასა და საქმესა შორის უფრო მეტ კავშირს შევამჩნევთ, ხოლო ქართველი ერი ბნელ პარაზიტებისაგან განთავისუფლდება.

აფიქრებს აგრეთვე ამ ელემენტებს ის გარემოება რომ იმ ტიტანიურ ბრძოლის დასასრული, რომელიც სწარმოებს რუსეთის რევოლიუციასა და ევროპის კაპიტალიზმს შორის ახლო მომავლის პერსპექტივებში არ ისახება, ხოლო ვის დარჩება გამარჯვება ამ საბედისწერო ბრძოლაში ეს ჯერ გაურკვეველია. ზოგიერთ მათგანს თვალწინ ესახება შესაძლებლობა ბათუმის ნავთსადგურში ფერადი თუ სხვანაირი ლაშქრის გამოჩენისა და ჩვენი ქვეყნის კვლავ ბრძოლის ასპარეზად გადაქცევისა, ხოლო ვინაიდან ამ ბრძოლის შედეგი ვის მოუმზადებს ტრიუმფს გამარჯვებისას ეს ჯერ გამორკვეული არ არის, მათი აზრით ნაადრევია მომავალი სამოქმედო გეგმის დასახვა. რასაკვირველია ასეთი ბრძოლის შეს ძლებლობა არსებობს, მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ვითომც მომავალი მოქმედების გეგმის დასახვა არ შეიძლებოდეს.

ჩვენს თვალწინ იშლება გიგანტიური ბრძოლა ორ ბუმბერაზ ძალთა შორის. რევოლიუციონურ რუსეთი ებრძვის ბურჟუაზიულ ევროპას. ამ დიდ ბრძოლაში ისეთ პატარა ერს, როგორც ქართველი ერია, რასაკვირველია არ შეუძლია გადამწყვეტი მნიშვნელობის პოტენცია შეიტანოს, ვიტყვით მეტსაც, მას არ შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ამ დიდ ბრძოლაში, ვინაიდან ეს იქნებოდა მისი არსებობის საკითხს ქვეშ დაყენება, მაგრამ მთელი ჩვენი სიმპატია ამ ბრძოლის დროს ვის მხარეზე უნდა იყოს? ვის უნდა უწყობდეს მშრომელი საქართველო ხელს შესაძლებლობის ფარგლებში? რასაკვირველია სოციალიზმს, რასაკვირველია რევოლიუციას და არა კაპიტალიზმს და არა რეაქციას.

მაშასადამე დღეს საქართველოში არ უნდა არსებობდეს არც ერთი კაცი, რომელიც ინტერვენციის იმედით სულდგმულობდეს და საჭიროდ მიაჩნდეს ამის მიხედვით თავისი მომავალი გეგმის დასახვა. პირიქით ასეთი შესაძლებლობა თვითეულ ჩვენგანს უნდა მიაჩნდეს საქართველოს განადგურებათ და მთელი თავისი ძალღონით უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

მუშა ფარმაცევტი.

## ახალი ამბები

— **ქალაქის რევკომის ბრძანება № 16** დამატებით ა—წ. 10—4. № 6 თავის ბრძანების შესაცვლელად ქალაქ ტფილისის რევკომი აცხადებს ცნობად და შესაფერ ასრულებისათვის, რომ აღნიშნულ ბრძანებაში მოხსენებულნი პირნი (მენშევიკურ მთავრობის მიერ მობილიზაციით ჯარში გაწვეულნი, აგრეთვე სამხედრო მდგომარეობის გამო გაქცეულნი მუშები, გლეხები, დაბალი მსახური სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა, ინტილიგენტ მშრომელნი), რომელნიც აპრილის 15-მდე არ დაუბრუნდებიან თავის უკანასკნელ სამსახურის ადგილს, როგორც თვითონ, ისე მათი ოჯახი, ჰკარგავენ უფლებას ყოველ გვარი კმაყოფილის მიღებაზე ფულით იგულისხმება სალიკვიდაციო და სასურსათოც. გარდა ამისა, ვინც აღნიშნულ რიცხვამდე არ გამოცხადდება, ჰკარგავენ უფლებას მიღებულ იქმნეს იმ თანამდებობაზე 26 თებერვლამდე, რომ ეჭირათ. ქალაქის. რევკომის თავმჯდომარე. დოლიძერიძე.

— **ღატაკთა დასაფლავება.** ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებით ყოველ გარდაცვლებულ ღატაკის უფასოდ დასასაფლავებლად მისცემენ კუბოს და კათაფალკას მიხეილის საავადმყოფოდან გვამის სასაფლაოზე გადასატანათ.

— **კომუნისტურ პარტიაში.** კომუნისტურ პარტიის ტფილისის კომიტეტი მუშაობს ახალი შემადგენლობით: მდივანი კანდელაკი. ბიუროს წევრები: რუბენ სოხაშვილი, ლ. ნუცუბიძე, ტ. კარპი. ტ. ქ. მოთავსებულია რუსთაველის პრ. № 22.

— შალვა ნიკოლოზის ძე მანჯავიძე სამხედრო სასწავლებლის მოწაფე მარტის 24 გაწერილა არამიანცის საავადმყოფოდან მას შემდეგ აღარა სჩანს. ვთხოვთ ვინც რამე იცოდეს მაცნობოთ შორაპნის რევკომში სოფ. ილემში ნიკოლოზ მანჯავიძეს

— **კროპატკინის ხსოვნა.** კვირას აპრილის 17, დღის 12 საათზე კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება სახელ განთქმულ პეტრე კრაპოტკინის ხსოვნის პატივსაცემლად დიდი კრაპოტკინის პირადი მეგობარი, ჩვენი ცნობილი მოღვაწე ვარლამ ჩერქეზიშვილი წაიკითხავს მოხსენებას კრაპოტკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მწერლები ილია ნაკაშიძე და ლევკრამერი წაიკითხავენ მოხსენებას კრაპოტკინის მოღვაწეობის შესახებ. მოხსენებები იქნება რუსულად.

## სოც.-ფედერ. პარტიაში

ტფილისის საქალაქო კომიტეტის სხდომა დანიშნულია დღეს კომიტეტის ბინაზე საღამოს 7 საათზე. წევრების უკლებლივ დასწრება აუცილებელია.

კომიტეტის პრეზიდიუმი.

## რადიო

**უწლოვან ახალგაზრდათა გაწვევა ყანების თესვისა და ბოსტნების შესამუშავებლად.**

**მოსკოვი**, აპრილის 4. გამოაქვეყნეს დადგენილება, რომლის თანახმად უწლოვან ახალგაზრდობას მონაწილეობა უნდა მიაღებინონ ყანების თესვისა და ბოსტნების მუშაობაში. შერჩეულნი ყოველ დღიურ დისციპლინით გაჟღენთილი სამუშაოს, აღზრდილნი კომუნიზმისა და პროლეტარ მშრომელთა ერთობის იდეებით, ფიზიკურათ, განვითარებული და დარაზმულნი, ეს ახალგაზრდა მებრძოლნი ასიათასობით ხელში აიღებენ ბარებს, გუთნებს, კავს და ცელს და ერთგულად დაეხმარებიან გლეხს მის მძიმე შრომაში მიწის დათესვასა და შემუშავებაში.

**ინგლისი რევოლ[illegible]ს აფეთქების წინ.**

**ნაუენი**, ინგლისის ტრანსპორტის და რკინის გზის მუშებმა დღეს დაადგინეს სამშაბათს შუადღიდან გაფიცვა დაიწყონ თუ იმ დროისთვის მადნის მუშების მოლაპარაკება დადებით შედეგს არ მიაღწევს. მეფემ საომარ ფეხზე დააყენა ჯარი საზღვაო და საერთო ფლოტი და მარქაფი ჯარი. ტაიმსი მარქაფი ჯარის რიცხვს ანგარიშობს 65-დან 70 ათას კაცამდე. ამავე დროს ლოიდ ჯორჯმა შაბათს დილით მიიღო ტრანსპორტის და რკინის გზის მუშების დელეგატები.

**პარიზი**, 7-4 გაზეთები გადმოგვცემენ ოსმალეთის მთავრობის პროტესტს, რომელიც მათ წარუდგინეს ანტანტის წარმომადგენლებს წინააღმდეგ იმისა, რომ საბერძნეთის სარდლობამ გაიწვია სამხედრო სამსახურში საბერძნეთის არმიაში ოსმალეთის ქვეშევრდომნი. ამ პროტესტს მხარი დაუჭირა ანტანტის წარმომადგენლებმაც, რომელმაც განაცხადეს, რომ ამ გვარი მოქმედება ეწინააღმდეგება სავრის ხელმძღვანელობას.

**ოსმალ-ბერძენთა ომი.**

**ლონდონი**, 7-4. კონსტანტინეპოლიდან გვატყობინებენ, რომ ოსმალეთის ეროვნული ჯარები მიუახლოვდნენ ქალაქ ბრუსას, რომელიც დატოვებულია ბერძნების მიერ.

**მეამბოხეთა გასამართლება.**

**პეტროგრადი**, 23-4. პეტროგრადის საოლქო ტრიბუნალის სესია შეუდგა კრონშტადტის ამბოხების საქმის გარჩევას. სასამართლოს წინაშე წარდგნენ ამბოხების აქტიური 13 მონაწილე გემის „სევასტოპოლის" დამნაშავეთ გამოუტანეს განაჩენი. რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: „ყველა ამ პირობის დანაშაულობის გამო, რაიც გამოიხატა მასში, რომ 2—7 მარტამდის ციხე კრონშტადტის და მასთან მდებარე ნავთსადგურებში მეამბოხეთა ჯგუფის მიერ ჩამოგდებულ იქმნა საბჭოთა მთავრობის ხელისუფლება და ამასთან პასუხისმგებელი მუშები დაპატიმრებულნი იქმნენ რომ დამნაშავენი თავის ნებით, ძალ-დაუტანებლივ მიეხმარნენ მეამბოხეებს და შეასრულეს სამხედრო დავალებები კრონშტადტის ციხის ოპერატიულ შტაბისა, რომელსაც მეთაურობდა გენერალი კოზლოვსკი. ამას გარდა ისინი აწარმოებდნენ შეიარაღებულ ბრძოლას მუშა-გლეხთა რესპუბლიკის ერთგულ საბჭოთა რესპუბლიკის ჯარების წინააღმდეგ და მიუხედავად საბჭოთა რესპუბლიკის მოწოდებისა, რათა მათ დაეყარად იარაღი, ისინი მაინც განაგრძობდნენ სამხედრო მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ სრული საშუალება არ მიეღოთ დამნაშავეთ მონაწილეობა ამბოხებაში მიესაჯოს დახვრეტა.

**ზემო სილეზიაში.**

**ბერლინი.** 1-4. ოფიციალურ წყაროებიდან გვატყობინებენ ზემო სილეზიაში მიცემულ ხმათა რაოდენობის შედეგს: გერმანიის სასარგებლოდ მიცემულია 976.000 ხმა, პოლონეთის სასარგებლოთ 339,000 ხმა, ამნაირად გერმანია შეინარჩუნებს მეტ ნაწილს ამ მდიდარ ქვანახშირის ოლქისას. 12 ოლქში უმეტესი ხმა მიეცა პოლონეთთან შეერთების სასარგებლოთ.

**რევოლიუციონური მოძრაობა სირიაში**

**ლონდონი.** 3-4. გაზეთი „ტაიმსი" იტყობინება ცნობებს სირიაში მომხდარის შესახებ. ადგილობრივი მცხოვრებლები დაეცნენ დაბა კიუნეიტრას, მოკლეს საფრანგეთის რაზმის უფროსი ოფიცერი და განაიარაღეს ფრანგი ჯარის კაცნი. მოძრაობის ლიკვიდაციისათვის დამასკიდან გაიგზავნა ჯარი და ჰაეროპლანები, მაგრამ ამ ზომებმა მცირე გავლენა იქონია. ამბოხება ჩრდილოეთითაც ვრცელდება.

**ინგლისი და რუსეთი**

**ლონდონი.** 3-4. გაზეთი „ნეშონი" სწერს: დიდი ბრიტანეთის მთავრობა საბოლოოდ ვალდებული გახდა დაიცვას ნეიტრალიტეტი საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოქმედების დროს. იმედია ეხლა მაინც განსაკუთრებით ჟამში „პრავდას" საქმეების გამოქვეყნების შემდეგ, თეთრების მეგობართ სასტიკი ბრძანება მიეცემათ ამის შესახებ. ამის გამო უნდა აღვნიშნოთ, რომ ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება დიდ მნიშვნელობისაა არამც ვაჭრობის ურთი-ერთობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ ამისთვისაც, შესაძლებელი ხდება საერთო მშვიდობიანობის ფორმალურად დამყარება. ამ საკითხის შესახებ ლონდონის ყოველკვირეული ჟურნალი „ნიუს-სტეიტსმანი სწერს" საერთო მიმართულება ინგლისის პოლიტიკისა რუსეთის საკითხში ისეთია, რომ ეხლა ხან ხელმოწერილ ხელშეკრულებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა: ორი ქვეყნის შორის ფაქტიურად ცოტად თუ ბევრად მყარდება ძალური დიპლომატიური დამოკიდებულება.

ყოველ კვირეული ჟურნალი „აზრით საბჭოთა არსებ[illegible] რუსეთი ინგლის[illegible] ბობს შიში [illegible] ინგლისში. [illegible] საბჭოთა რუსეთის სასარგებლოთ [illegible] დება ვინაიდან ბრიტანეთის სასამართლომ ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთში არსებულ კანონებს.

**იტალია და რუსეთი.**

**პარიზი.** 1-4. რომიდან [illegible] დღეებში მიემგზავრება მოსკოვში იტალიის საჭირო მისსია. გაზეთი „ტრიბუნა" ამის გამო სწერს, რომ იტალია დიდის კმაყოფილებით მიიღებს რუსეთის წინადადებას ფართო სარკინიგზო სამუშაოების წარმოების არხების გაყვანისა და ჰიდრო-ელექტრონის შენობების აშენების შესახებ. სავაჭრო ფლოტს სამინისტრო და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო შეუდგნენ პროდუქტების შემუშავებას, რომელნიც რუსეთის მისიასთან ერთად რომში იქნება განხილული.

**მღელვარება მუშათა შორის.**

**ბერლინი.** 4 ტურინში პოლიციამ მიშლენის ქარხანა დაიკავა დათხოვნილ მუშების მიზეზით მომხდარ არეულობის გამო. ფლორენციაში რამდენიმე ქარხნის მუშების მთელი შემადგენლობა დათხოვნილია და ეს ქარხნებიც პოლიციამ დაიკავა. თანაგრძნობის ნიშნად ქარხნის მუშებმა მუშაობა მიატოვეს.

**ვაჭრობა რუსეთთან.**

**ბერლინი.** 1-4. პარიზში დაარსდა ვაჭრობა-მრეწველობის კავშირი რუსეთისა და მის განაპირა მხარეებში ვაჭრობისათვის. ეს კავშირი მოლაპარაკებას აწარმოებს პოლონეთის მთავრობასთან საფრანგეთის საქონლის ტრანსპორტის საწარმოებლად სამხრეთ რუსეთში პოლონეთით. კავშირი ფიქრობს რუსეთ-პოლონეთის ზავი გამოიყენოს და პოლონეთის იმ კომერციულ წრეებს შეეკრას კავშირში, რომელთაც უნდა გამართონ ვაჭრობა რუსეთთან.

**ხაზარგი მოძრაობა ელექტრონით.**

**მოსკოვი** 4-4. ახლო დღეებში ფიქრობენ მოსკოვში მაკონინის ელექტრომატარებლის გაგზავნას. დაბრუნების დროს ელექტრო-მატარებელი 60 ვაგონს წამოიღებს.

## ბრძანება № 35

თანახმად საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის მარტის 30-ს დადგენილებისა. ამხ. ტერ-გრიგორიანი დანიშნულია სტატისტიკის ცენტრალი სამმართველოს მმართველად. ამხ. ტერ-გრიგორიანს წინადადება ეძლევა დაუყონებლივ შეუდგეს ხსენებული სამმართველოს მოწყობის საქმეს.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი

რევკომის მდივანი გაბრიჩიძე.

1921 წ. აპრილის 12

ქ. ტფილის-სასახლე.

**ბრძანება № 36**

1. საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. მარტის 11-ს № 4-ს დეკრეტის დამატებად ამით საყოველთაოდ ცხადდება, რომ საქართველოს ს. ს. რ. რესპუბლიკის გზებზე სამხედრო წესების გამოცხადებისა და გზათა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო მობილიზაციის შემდეგ—მათი ბინები თავისუფალია რეკვიზიციისა და ჩასახლებისაგან.

**შენიშვნა:** განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც რეკვიზიცია ან ჩასახლება აუცილებელია, უკანასკნელი შეიძლება მოხდეს მხოლოდ გზათა კომისარის თანხმობით.

2. ყველა სათანადო დაწესებულებათ და თანამდებობის პირთ ევალებათ სასტიკ დ ადევნონ თვალყური ამ ბრძანების ზედმიწევნით შესრულებას; ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი მიეცემიან პასუხის გებაში რევოლიუციონური დროის კანონების თანახმად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე

1921 წლის აპრილის 12

ტფილისი-სასახლე.

# დეკრეტი № 18

ყოვლად დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული სახელმწიფო ბიუჯეტის გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქმნეს საქართველოს ყოვლად დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი.

2. მიეცეს წინადადება ფინანსთა სახალხო კომისარს გააუქმოს ყოვლად დამფუძნებელ კრების მიერ დამტკიცებული ყველა კრედიტები.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე მ. ორახელაშვილი.

ფინანსთა სახალხო კომისარი ნაზარეტიანი.

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წლის აპრილის 10.

ტფილისი—სასახლე.

## მზის ნაწილობრივი დაბნელება

(1921 წელს აპრილის 8)

მზის დაბნელება წარმოადგენს ერთ საუცხოვო მოვლენას და უკვე ძველი დროიდან იპყრობდა კაცობრიობის ყურადღებას. უმთავრესი დანიშნულება მათემატიკურ ტრიბუნალის ჩიხეთში მდგომარეობდა მზის დაბნელების წინასწარმეტყველობას. მოულოდნელი სიბნელის დადგომა მზიან დღეში ძალაუნებურად იწვევდა და აყენებდა შიშს არა მარტო ხალხზე არამედ ცხოველებს და ფრინველებზედაც. ზოგიერთი მცენარენიც კი გრძნობენ მზის დაბნელებას და დღის ყვავილები იხურებიან.

უკანასკნელ დროს მზის დაბნელება იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომელიც აძლევს საშვალებას შეისწავლოს მზეზე ისეთი მოვლენები, რომელნიც საერთოდ არ მოსჩანს ჩვეულებრივ დროს. ამისათვის მზის დაბნელების დაკვირვებისათვის აგზავნიან რამდენიმე ექსპედიციებს სპეციალისტებიდან, რომელსაც აწვდიან სხვა და სხვა ასტრონომიულ, ასტროფიზიკურ და მეტეოროლოგიურ ხელსაწყოებს. მზის დაბნელების დაკვირვება შეიძლება მხოლოდ იმ ადგილებში სადაც ხვდება ლანდი რომელსაც მთვარე უგდებს. იმის გამო, რომ მზის და მთვარის რადიუსები რომელსაც უჩვენებს ჩვენ თვალით თითქმის თანასწორია. ამისათვის შეიძლება მოხდეს რომ ერთი და იგივე დაბნელება იყოს ერთისთვის რგოლისებური და მეორესთვის კერძო (მაგ. მზის დაბნელება 8 აპრილის 1921 წ.) საერთოთ კი განსაზღვრულ ადგილისთვის მიწის ზედაპირზე მთვარის დისკო ნაწილობრივ ფარავს მზისას.

წინასწარ განსაზღვრული დაბნელება აპრილის 8 ა. წ. (ახ. სტ.) გამოიწვევდა ალბად განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს სცსიერთა წრეებში, როგორც სპეციალისტთა აგრეთვე მოყვარულეთა (Любительскія) შორის. ჩვენდა სამწუხაროთ, ობიექტიური პირობების გამო მოკლებული ვართ პერიოდულ დამოკიდებულებას სხვა ქვეყნებითან ჩვენი პლანეტისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მიუხედავად ყველა იმ მოვლენებისა სადაც შესაძლებელი იქნებოდა დაბნელების დაკვირვება იქნებოდა მოწყობილი სადგურები—დროებითი ობსერვატორიები. მოსკოვში გზის დაბნელება იყო კერძო როგორც ტფილისში მხოლოდ იქ დაფარული იყო 2-3 ნაწილი მზისა. („Известия" 27 марта № 66.)

ტფილისში მზის დაბნელების დაკვირვება იყო მოწყობილი მე-4 ვაჟთა გიმნაზიის შენობაში და ფიზიკურ ობსერვატორიაში. გიმნაზიის ეზოში იყო დადგმული ორი ქვიკრიტი რომლიდგანაც მზე მოსჩანდა ეკრანზე და უნივერსალური ხელსაწყო რომელშიც უბრალო თვალით მოსჩანდა მზე. კოშკზე (на башне) სადაც სდგას ასტრონომიული რეფრაქტორი იყო მოწყობილი დიდი (შეცდომით) ეკრანი რომელზედაც გარკვევით მოსჩანდა მზე და შესაძლებელი იყო დავკვირვებოდით მზის ლაქებს.

დილიდანვე გვქონდა დავალებული თვალყური გვედევნებიათ მზის მოძრაობისთვის და ამით განგვესაზღვრა მზის მდებარეობა ეკრანზე თაღის და პოგრიტის მოძრაობით. ახლოვდებოდა დაბნელების დრო. საათი აჩვენებდა 11 ს. 5 წ. თეორეტიულ გამოანგარიშებიდან ძალით დგებოდა მომენტი მზის და მთვარის დისკოს შეხებისა, კიდევ 22 წამი და გამოანგარიშება გამართლდა სისწორით. როგორი იყო განცდა, ფსიხოლოგიურად, ასისენტ სუდაკოვის, როდესაც მისი გამოანგარიშება გამართლდა. თეორია სინამდვილეთ იქცა. მთვარე მისცურავს დაუსრულებელ სივრცეში და ეთანახმება ნაჩვენებ გზით სიარულს. ამ დროს ჩემს თავში ძალა უნებურად მოვიგონე დიდებულ ასტრონომის კამილ ფლამარიონის სიტყვები: არის ცხოვრებაში, მომხიბვლელი საათები, ძვირფას სიხარულის, მომენტი ციურ აღტყინებისა, გამოუთქმელი აღტაცებები".

მართლაც იყო „მომენტი ცის აღტყინებისა". თუ მზის დაბნელებებმა დაჰკარგეს თავის პრიმიტიული მნიშვნელობანი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიოზურ ჩვეულებებთან და არ იწვევს საშინელებას ხალხში, სამაგიეროთ მაინც ეს ერთი საუკეთესო და ყურადსაღები მოვლენაა რომელიც ჩვენ შეგვიძლია დავაკვირდეთ ცის თაღზე, სადაც მეფობს სრული ჰარმონია. უდიდესი ფაზა—მაქსიმუმი—მზის დაბნელებისა დადგა. დაბნელების დროს ეზო იყო სავსე ხალხით რომელთა შორის იყვნენ მოწაფეები, სტუდენტები, წითელ არმიელნი და მოქალაქენი რომელნიც დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ ყველა იმას რაც ხდებოდა. კოშკზე, სადაც ხდებოდა მზის დემონსტრაცია ეკრანზე დიდი მასშტაბით ამოვიდნენ ბევრნი და როდესაც იკმაყოფილებდნენ თავის ცნობისმოყვარეობას მიდიოდნენ მადლიერნი. დაბნელების უკანასკნელ დრომდი დარჩნენ ასისტენტი სუდაკოვი სტ. აბაშიძე და რამოდენიმე მოწაფე.

დრო გადიოდა შეუმჩნევლად ვაკვირდებოდით საუკეთესო განსაკუთრებულ ყურადღებით. მთვარის დისკომ გაიარა და და დაფარა მზის ლაქები, რომლებიც მკაცრად გამომდინარეობდნენ ეკრანზე. დაბნელების ბოლოც ახლოვდებოდა 1-ს 46 წ. დაბნელება გათავდა და ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა სისწორე გამოანგარიშების ჩვენი ასისენტის სუდაკოვის, რომელმაც დახარჯა ბევრი ენერგია ამ დაბნელების ეფექტიურ მიმდინარეობისათვის. ერთ დამსწრეთაგანის შენიშვნაზე რომელმაც თავის აზრი გამოსთქვა შემდეგ სიტყვებში „აქ ხდება დემონსტრაცია ადამიანის სიძლიერისა და კულტურისა"-ო შეგვიძლია დავამატოთ, რომ მართლაც ადამიანი უძლიერებით დაუსრულებელ სივრცესთან არის მიკროკოსმოსი მაგრამ გონებამ დაიპყრო ყველა ცის მოძრაობები, რომელსაც თავის მათემატიკურ ფორმულებით უჩვენებენ გზას. საერთოდ დაბნელება მიმდინარეობდა კარგ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ხტ. გიორგი ერიქაშვილი.

ტფილისი ასტრონომიული კოშკი.

8—1921 წ.

## თეატრი

„დალატი" შაბათს, აპრილის 9-ს ქართული დრამის თეატრში წარმოდგენილი იქმნა „დალატი".

ზეინაბის როლს თამაშობდა ანეტა ქიქოძე, მაგრამ, ჩვენის აზრით, აკლდა დედოფლური იერი და სიდარბაისლე როგორც მიმოხვრაში ისე ხმის ინტონაციაში. ზოგიერთ სცენებში როლს სხაპასხუპით ამბობდა და ამით ერთგვარ სინელეს აძლევდა ზეინაბის ტანჯვას.

საინტერესოა ამ როლში სხვა ახალგაზრდა მსახიობ ქალების ხილვაც.

ამ წარმოდგენაზე აღსანიშნავია მხოლოდ სამი ახალგაზრდა მსახიობი: ალისა ქიქოძე, ქ-ნი დონაური და ბ-ნი დავითაშვილი; პირველი თამაშობდა გაიანეს, მეორე—რუქაიას და მესამე—დათოს.

ქალბატონ ალისა ქიქოძეს თამაშში იმდენი გულუბრყვილობა და სადაობა იყო რომ ყოველი მისი ამონათქვამი აღტაცებას იწვევდა მაყურებელში; ამას ხელს უწყობდა გარეგნობაც. ალისა ქიქოძეს უეჭველად აქვს მომავალი და საჭიროა რეჟისორმა ამთავითვე მიაქციოს ყურადღება არტისტი ქალის ტემპერამენტს და მისი ნიჭი ქართულ ნიადაგზე ჩამოქნას უცილობლად.

ასევე ითქმის დონაურზე და დავითაშვილზე. პირადად მე რუქაიასა და დათოს როლში მომწონდა თ. გოგოლაშვილის ენებური მოძრაობა და ა. იმედაშვილის მთიური იერი. რასაკვირველია თუ პარალელს გავატარებთ, ახალი მსახიობნი მოიგუსტებოდნენ, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში არ გვაინტერესებს შედარება. დონაური და დავითაშვილი ორი ძლიერი ნიჭია და მათ თამაშში თეატრის მოყვარულმა ზადი არ უნდა ეძებოს განგებ. ჩვენი აზრი ამ ორ მსახიობის შესახებ წინათაც გვითქვამს და ეხლაც დავძენთ, რომ ამ ორ ინტელიგენტ მსახიობს, რომელნიც რუსული სცენიდან პირველად გვესტუმრნენ, დიდი მუშაობა სჭირიათ, (განსაკუთრებით დავითაშვილს) რომ თავიანთი ინტონაცია ქართულ გამოთქმას შეუფარდონ.

პიესა დასდგა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ. წუწუნავას, როგორც რეჟისორს ბადალი არა ჰყავს დღეისდღე ჩვენს სცენაზე და კარგი იქნება, რომ თავისი ცოდნა, უნარი და სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ ქართულ რეჟისურას შეალიოს, რომელსაც ჩვენი სცენა ესდენ საჭიროებს. წუწუნავამ ისე ნიჭიერად დასდგა დალატი (განსაკუთრებით ბოლო მოქმედება), რომ მაყურებელი, ციხის აფეთქებასთან ერთად თითონაც აფეთქდა და ტაშის ცემასა და ქრიამულს დასასრული არა ჰქონდა. მთელი ბოლო მოქმედება ხალხმა ფეხზე ადგომით მოისმინა. იმედია წუწუნავა საბოლოოდ დაიჭერს თეატრის სადავეს ხელში და თავის გამოცდილებით და ცოდნით კვლავ ძველებურად გაუძღვება სახელოვნო საქმეს.

ფუჯაგრილი.

## მუშათა საკითხი კომპარტიის მე-10 ყრილობაზე.

ამხ. დალენკოს მოხსენება.

მე-4 რაიონულ კომიტეტის ბინაზე 9 აპრილს საღამოს შესდგა საზოგადო კრება საქართველოს კომპარტიის წევრების და კანდიდატების რომელზედაც ამხ. დალენკომ გააკეთა მოხსენება კომპარტიის მე-10 ყრილობის შესახებ. ამხ. დალენკომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მუშათა საკითხს და შრომის ფრონტზე მოქმედ სამუშაოს.

„შრომის ფრონტის საკითხი", ამბობს ამხ. დალენსკო, „ერთ ერთი ძირითადი პუნქტია უახლოესი მომენტის პოლიტიკისა, რადგანაც ამ საკითხთან მჭიდროთაა დაკავშირებული სახელმწიფოს აღმშენებლობის ნაყოფიერი განვითარება. ამ საკითხის გარშემო ყრილობაზე ერთი ერთმანეთს ებრძოდა სამი მთავარი მიმართულება. პირველი—ატარებდა შრომის ფრონტის ორგანიზაციის იდეას, სახედრო ფრონტების სისტემის მიხედვით, მრეწველობის ყველა დარგის ხელმძღვანელობის სრულ დეცენტრალიზაციით. მეორე—იცავდა მრეწველობის ხელმძღვანელობის სრულ დეცენტრალიზაციას, ყველა წარმოების პროფკავშირების უწყებაში გადაცემით მათი სრულის პასუხისმგებლობის ქვეშ.

მესამე (წარმოთქმული ამხან. ლენინის მიერ) გამოთქვა აზრი ორივე სისტემის შეერთების შესახებ, რომ ერთის მხრივ სახელმწიფომ არ გაუშვას ხელიდან ხელმძღვანელობა და მართვა მრეწველობის ცალკე დარგებისა, მათი მიზან შეწონილ განვითარების მიზნით, რომ პროფკავშირებმა გააძლიერონ მუშაობა დამოუკიდებლათ საქმის ნაყოფიერ შესრულებისთვის. ამ მიმართულების წარმომადგენლებმა გამოსთქვეს, რომ სახელმწიფოს აღმშენებლო მუშაობაში ჩაბმულ [illegible] და იქმნენ სპეციალისტები და საერთოდ ინტელიგენცია.

ყრილობაზე გაიმარჯვა უკანასკნელმა მიმართულებამ, რომლის მიხედვითაც გამოიმუშავეს რეზოლიუცია.

მეორე არა ნაკლებ მნიშვნელობის საკითხი მიწით-სარგებლობის შესახებ დაკავშირებულია მომავალ სათეს კამპანიასთან. დადგენილია გაწერის მაგივრათ შემოღებული იქმნას სასურსათო გადასახადი. ჯერ ერთი იმისთვის, რომ ამით მიეცეთ საშუალება მუშა და გლეხთა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადიდებულ იქნას დათესილი სივრცე და მეორე, რომ ამით გამოიწვიოს თვითეულში საკუთარ მოქმედების და ხელმძღვანელობის ინტერესი. ეს ზომები აუცილებელია საქმის ინტერესების მიხედვით, როგორც ერთი საშუალებათაგანი, რომელიც გააძლიერებს ქვეყნის წარმოებას. ასეთ პირობებში ბობოლაობა, სადაც ის ჯერ კიდევ არ მოსპობილა, შეიძლება გამოყენებულ იქმნას მუშა და გლეხების სახელმწიფოს ინტერესებისთვის. გადასახადის გადახდის შემდეგ ყოველ პურის მთესველს ზედმეტი შეუძლიან მოიხმაროს საქონელზე გასაცვლელად და რომ არ მოხდეს სახელმწიფოს ორგანოების ხელში პურის ზედმეტი ყიდვა-გაყიდვის მონოპოლიზაციის შთაბეჭდილება, გადაწყვეტილია ნება-დართულ იქნას კერძო ვაჭრობა. ამავე დროს კონცესიები, რომელიც მიიღო ყრილობამ განსაკუთრებულათ, ერთის მხრით მიიზიდავს კაპიტალს, მეორე მხრით კი საშუალებას მისცემს მუშა და გლეხთა სახელმწიფოს გადიდოს ფაბრიკების ნაწარმოების მარაგი გაცვლა გამოცვლის გზით. თავის მხრივ მისცემს პურის მთესველს თავის ზედმეტ პურში მანქანებს, მანუფაქტურას და ყველა მას, რითაც ღარიბია დღეს სოფელი.

## ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოსამსახურეების მობილიზაცია.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. კარაულმა გრუკავეროსტას თანამშრომლებთან საუბრის დროს დეკრეტი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მობილიზაციის შესახებ შემდეგნაირათ განმარტა.

ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატში შემჩნეულია ბევრი უწესოება. კომისარიატის მოსამსახურეთა მიერ არა ჯეროვანათ ნაყოფიერი მუშაობა აიხსნება სხვა და სხვა მიზეზებით, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ისინი გადაეჩვივნენ სამსახურის კეთილ სინდისიერათ შესრულებას, ან ის რომ თავის დროზე, ნაციონალიზაციის გამო, დათხოვნილ იყვნენ ფოსტა-ტელეგრაფის საქმის საუკეთესო მცოდნენი. მთელი რიგი დაწესებულებებისა სამსახურში გვიჩვენებს, რომ მოსამსახურეებს არ აქვთ საკმაოდ წარმოდგენილი სამსახურის მოვალეობანი. ეს მდგომარეობა არის ერთი მიზეზთაგანი, რომელმაც გამოიწვია ტელეგრაფის უწყების მოსამსახურეთა მობილიზაცია. ნაციონალიზაციის გატარების დროს, ჯერ ისევ მენშევიკურ მთავრობის დროს, ხშირი იყო შემთხვევები სამსახურიდან გამოცდილ მუშების დათხოვნისა, რომლის ადგილზედაც იღებდნენ „თავიანთ ხალხს", რომ თუ გამოუცდელებს, არამედ საქმისათვის სრულიად უვარგისებს. ამას შედეგათ მოჰყვა ის, რომ ბევრი მუშა სრულიად გამოუსადეგარია იმ განვითარებულ მუშაობისათვის, რომელიც საჭიროა დღეს, საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს სრული უპატრონობა, რომელიც შემჩნეულია უწყებაში. ძვირფასი ქონება ყაჩაღურად და საწყობებში არ იყო არავითარი ანგარიში. ანგარიში იყო კარგად დაყენებული მხოლოდ ერთ საწყობში, რომელსაც განაგებდა სპეციალისტი ძველი გამოცდილი მოსამსახურე.

ამჟამად მოსამსახურენი ვაჭრობდნენ სახაზინო ნივთებით. აქედან გამომდინარეობს ის უცნაური მოვლენა, რომ ზოგი ერთი მოსამსახურეები, მიუხედავათ ცეცხლოვანი ჯამაგირისა, კმაყოფილი იყვნენ თავის მდგომარეობით და შეეძლოთ საკმაოდ ხელგაშლილად ეცხოვრათ.

აღრიცხვათა უქონლობამ წარმოშვა ბოროტი სპეკულიაცია მოსამსახურეთა შორის. საქმის ასე დაყენებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ძვირფასი ქონება, რომელიც დარჩა საქართველოს მთავრობას ამიერ-კავკასიის გამოყოფის დროს და აგრეთვე უცხოელებისაგან უკანასკნელ დროს მიღებული ქონებაც, არა თუ შენახულ იქმნა, არამედ დაიღუპა სახელმწიფოს აუნაზღაურებლად. შემჩნეულია ისეთი ამბავშფოთებელი მოვლენა, როგორც ტექნიკური მასალით ვაჭრობა, რომელიც წინათ [illegible] მასალით [illegible] ბაზარზე [illegible] ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის მოწყვეტებს.

ამგვარად, ზემოაღნიშნულ მოვლენასთან ბრძოლა შესაძლებელია მხოლოდ სასტიკ რევოლიუციონურ წესის დამყარებით და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მობილიზაცია წარმოადგენს ერთად-ერთ რადიკალურ საშუალებას ყველა უწესობის მოსასპობად. ამ გზით ჩვენ დავამყარებთ უსასტიკეს სამსახურის დისციპლინას და ყველა სამუშაოთა სასტიკ აღრიცხვას. მობილიზაცია წარმოადგენს ერთად ერთ საშუალებას, რომ ყველამ უნდა აიძულოს უწყება, რომ იგი მოწყობილ იქნეს სამხედრო წესების მიხედვით.

საფოსტო კავშირის საქმის მოსაწესრიგებლათ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამგვარ, ასე ვსთქვათ სამხედრო მდგომარეობის დროს, თვითეული განკარგულება უწყების მიმართ, დებულობს ბრძანების სახეს, ყოველი მოსამსახურე კი, რომელიც სამსახურის გარეშე თავისუფალი მოქალაქეა, დაწესებულების კედლებში წარმოადგენს სადარაჯოზე მდგომ ჯარის კაცს. ამ მიზნებით იყო გამოწვეული ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მოსამსახურეთა მობილიზაცია. დამთავრა ამხ. კარაულმა,—შედეგები კი, რომელსაც უნდა მივაღწიოთ ამ მობილიზაციით, სრულად გამომდინარეობს ზემოაღნიშნულიდან.

### კომუნისტურ პარტიის ქალთა განყოფილების მიზანი.

9 აპრილს შესდგა ქალაქ თბილისის ყველა რაიონების კომუნისტ-ქალების და კანდიდატების კრება, რომელზედაც მოისმინეს მოხსენებანი საქართველოში მყოფ მუშა ქალების მიზნების და ქალთა განათლების თბილისის კომიტეტის მოქმედების შესახებ. საქართველოს მუშა ქალთა მიზნების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ქალთა განყოფილების თბილისის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გასვიანი. დახასიათა რა ქალთა მოძრაობა დასავლეთ ევროპაში, შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა ქალთა მოძრაობაზე რუსეთში.

„რუსეთში" სთქვა ამხ. გასვიანმა „ქალთა მოძრაობა იწყება მუშა მამა-კაცთა მოძრაობასთან ერთად. უკვე 30-იან წლებში მუშა ქალები კაცებთან ერთად ღებულობენ მონაწილეობას გაფიცვებში. 1905 წლიდან მუშა ქალი გამოდის აქტიურათ და მაშინ როდესაც [illegible] სუსტდებოდა. ქალი ადიოდა ტრიბუნაზე და იქიდან მოითხოვდა თავისუფლებას და უფლებებს. ქალი გამოდის საქმიან [illegible], ცეცხლში [illegible]. მუშა ქალი საბოლოოდ ითვისებს შემდეგ, რომ ყველა ქალს ერთნაირი ინტერესი არა აქვს, რომ მუშა ქალმა უნდა იბრძოლოს თავის უფლებების მოსაპოვებლათ. ქალების ხელფასი ყოველთვის ნაკლები იყო, ვიდრე კაცებისა. მუშა ქალი [illegible] ფაბრიკა-ქარხანაში მუშაობას, არამედ [illegible] ეს [illegible] მას მთელ დროს და ბუნებრივია, რომ იგი განვითარების მხრივ უკან რჩებოდა მამაკაცს. ქალის დამცირება იყო სრული, როგორც მუშა ქალის, და როგორც საზოგადოთ ქალის. საბჭოთა ხელისუფლების მოსვლით ქალმა მიიღო ყველა უფლებანი, მაგრამ მან ვერ ისარგებლა მაშინვე თავის ახალი მდგომარეობით. მიზეზები იგივეა: წერა-კითხვის უცოდინარობა, ჩამორჩენილობა, დამჩაგვრა და სხვა... ამ გამოთ ქალთა მოძრაობა [illegible] ვითარდება [illegible] დიდი როლი ითამაშა კომპარტიის ქალთა განყოფილებამ.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურად ხმარობს (914 წ 606) სქესობრივი უძლურება, ვენერიული [illegible] და [illegible].
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ეცემლის მერიონელ რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—12 საათ. საღ. 5—7 ს. 732

სტამბა „სახელმწიფო ხალხი" [illegible] № 14